

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF
FREEDOM OF INFORMATION



ინფორმაციის თავისუფლების
ბანკითარების ინსტიტუტი

რა გავლენას მოახდენს საკონსტიტუციო სასამართლოს
მიერ 2015 წლის 28 ოქტომბერს მიღებული
გადაწყვეტილება საქართველოს კანონზე
„თავისუფლების ქარტიის“ მომავალზე

დეკემბერი, 2015

ავტორი: დავით მაისურაძე

შესავალი

დღეს სრულად ცივილიზებული სამყარო თანხმდება, რომ საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა ძალადობრივ რეჟიმის, რომლის მიერ ჩადენილი დანაშაულები არ ჩამოუვარდებოდა ნაცისტური რეჟიმის მიერ განხორციელებულ ტოტალურ ტერორს.

საქართველოში საბჭოთა ისტორია 70 წელს ითვლის. 70 წლის განმავლობაში საქართველო და ქართველი ხალხი იყო რუსული ტერორის მსხვერპლი და ნებისთნე უნებლიედ, თავადაც მონაწილეობდა ძალადობაში სხვებზე და საკუთარ თანამემამულეებზე.

ყოფილმა სოციალისტურმა ქვეყნებმა, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ მიიღეს ლუსტრაციის კანონმდებლობა, რომელიც კომუნისტური პარტიის თანამდებობებზე მომუშავე პირებს უკრძალავდა გარკვეული ვადით თანამდებობების დაკავების უფლებას. ასევე, თანამდებობების დაკავების უფლება ეზღუდებოდათ საბჭოთა სპეცსამსახურების ყოფილ თანამშრომლებს.

აღნიშნული კანონმდებლობის მიზანი იყო ერთი მხრივ კომუნისტური რეჟიმის მხილება და დანაშაულებათა დაგმობა, ხოლო მეორე მხრივ მიზნად ისახავდა ასეთი ქვეყნების შემდგომი უსაფრთხოების დაცვას და უშიშროების უზრუნველყოფას. ასეთი ტიპის კანონმდებლობა მიიღო ლიტვამ, ლატვიამ, ესტონეთმა, უნგრეთმა, ჩეხეთმა, პოლონეთმა და სხვა ქვეყნებმა.¹

საქართველოში სამწუხაროდ ვერ მოხერხდა ლუსტრაციის შესახებ კანონის დამოუკიდებლობის პირველ ეტაპზე მიღება. ამას თან დაერთო, რომ საბჭოთა უშიშროების თანამშრომლებმა მოსკოვში წაიღეს ყოფილი უშიშროების კომიტეტის არქივის მნიშვნელოვანი ნაწილი, ხოლო არქივში დარჩენილი დოკუმენტების უდიდესი ნაწილი განადგურდა 1991-1992 წლის თბილისის ომის დროს უშიშროების კომიტეტის შენობაში გაჩენილი ხანძრის თუ შემდგომი პერიოდის განმავლობაში.

საქართველომ ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით, მხოლოდ 2011 წლის 31 მაისს მიიღო საქართველოს კანონი „თავისუფლების ქარტია“, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფოს და საქართველოს მოქალაქეების ინტერესების დაცვას, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, ტერორიზმის წინააღმდეგ სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობის კოორდინაციას, სტრატეგიული და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების და ტვირთების მონიტორინგს და სხვა საკითხებს. ამავდროულად, „თავისუფლების ქარტიის“ მიზანია საბჭოთა ტოტალიტარული იდეოლოგიის დაგმობა. კომუნისტურმა დიქტატურამ თანამედროვე სამყაროსთვის არნახული ფორმით დაარღვია ადამიანის უფლებები; განახორციელა მასობრივი ტერორის ფორმები, რამაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე და თავისუფლება შეიწირა; ჩაახშო სინდისის, აზრის, რელიგიისა და გამოხატვის

¹ ს. ჩუხუა, „თავისუფლების ქარტია და ლუსტრაციის საერთაშორისო პრაქტიკა“, IDFI, იანვარი 2014, https://docs.google.com/viewerng/viewer?url=https://idfi.ge/public/upload/pdf/Research/Freedom_Charter.pdf.

თავისუფლება. „თავისუფლების ქარტიის“ მიზანია საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის რესტავრაციის პრევენცია.

ამ მიზნის განსახორციელებლად „თავისუფლების ქარტია“ უკრძალავს ყოფილი სსრკ-ის სპეციალური სამსახურების თანამშრომლებს (კანონის მე-10 მუხლი), ასევე, 1921 წლის 25 თებერვლიდან 1991 წლის 9 აპრილამდე სხვადასხვა პარტიულ თანამდებობზე მყოფ პირებს (კანონის მე-9 მუხლი), დამოუკიდებელი საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო თანამდებობზე (კანონის მე-8 მუხლი) დანიშნას.

„ლუსტრაცია“ ლათინური სიტყვაა და მსხვერპლშეწირვას ნიშნავს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თითქმის 25 წელი გავიდა. რამდენად გამართლებულია დღეს ასეთი შემზღუდავი ნორმების არსებობა? რამდენად ლეგიტიმურია საჯარო ინტერესი, რომელმაც ასეთი ფორმით კერძო ინტერესის შეზღუდვა და შესაბამისად ადამიანის უფლებების „მსხვერპლშეწირვა“ შეიძლება დააკანონოს.

საკონსტიტუციო სარჩელი „საქართველოს მოქალაქე ნოდარ მუმლაური საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2013 წლის 24 ივლისს მოქალაქე ნოდარ მუმლაურმა კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომ „თავისუფლების ქარტიის“ მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ)“ და „დ)“ ქვეპუნქტები ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს მოქალაქეებისათვის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს.

„თავისუფლების ქარტიის“ მე-9 მუხლით, თანამდებობრივი შეზღუდვები ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც “1921 წლის 25 თებერვლიდან 1991 წლის 9 აპრილამდე იყვნენ:

ა) ყოფილი სსრკ-ის სპეციალური სამსახურების საიდუმლო თანამშრომლები და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან (1991 წლის 9 აპრილიდან):

ა.ა) უარი განაცხადეს დამოუკიდებელი საქართველოს სპეციალურ სამსახურებთან საიდუმლო თანამშრომლობაზე;

ა.ბ) სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, გარიცხულ იქნენ საიდუმლო თანამშრომელთა აპარატიდან;

ა.გ) დაუდგენელი მიზეზების გამო გაწყვიტეს კავშირი დამოუკიდებელი საქართველოს სპეციალურ სამსახურებთან;

ბ) ყოფილი სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ოფიცრები, რომლებმაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან (1991 წლის 9 აპრილიდან) უარი განაცხადეს დამოუკიდებელი საქართველოს სპეციალურ სამსახურებში მუშაობის გაგრძელებაზე ან რომელთაც, სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, უარი ეთქვათ დამოუკიდებელი საქართველოს სპეციალურ სამსახურებში მუშაობის გაგრძელებაზე;

გ) ყოფილი სსრკ-ის და საქართველოს სსრ-ის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტების წევრები, რაიონული და საქალაქო კომიტეტების მდივნები;

დ) ყოფილი სსრკ-ის და საქართველოს სსრ-ის ახალგაზრდული ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტების ბიუროების წევრები;

ე) საქართველოს ტელერადიომუშყელობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე“.

„თავისუფლების ქარტიით“ გათვალისწინებული შეზღუდვების და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის უკეთ გასაგებად, მნიშვნელოვანია შევხვით საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ გარემოებებს და სამოტივაციო ნაწილს.

კერძოდ, როგორც აღინიშნა, საკონსტიტუციო სასამართლოში დავა დაიწყო საქართველოს მოქალაქემ ნოდარ მუმლაურმა - საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2013 წლის 17 ივნისს მონაწილეობა მიიღო თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობის დასაკავებლად გამართულ კონკურსში, თუმცა იგი დაუსაბუთებლად მოხსნეს კონკურსიდან, ხოლო შემდეგ ზეპირი ფორმით განუმარტეს, რომ ზემოთ დასახელებული მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ (ყოფილი სსრკ-ის და საქართველოს სსრ-ის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტების წევრები, რაიონული და საქალაქო კომიტეტების მდივნები) და „დ“ (ყოფილი სსრკ-ის და საქართველოს სსრ-ის ახალგაზრდული ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტების ბიუროების წევრები) ქვეპუნქტების საფუძველზე, ვერ შეძლებდა კონკურსში მონაწილეობის მიღებას. მოსარჩელემ კონსტიტუციურ სარჩელში მიუთითა, რომ დაკავებული ჰქონდა საქართველოს სსრ-ის ახალგაზრდული ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის თანამდებობა, ხოლო შემდეგ მუშაობდა თელავის რაიონში პარტიის რაიონული კომიტეტის მდივნის პოზიციაზე.

მოსარჩელემ კონსტიტუციურ სარჩელში მიუთითა, რომ:

- სადავო ნორმებით დადგენილი თანამდებობრივი შეზღუდვა წარმოადგენდა პოლიტიკური ანგარიშსწორების სახეს, რომელიც შესაძლოა მრავალჯერადად ყოფილიყო გამოყენებული ნებისმიერი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ;
- პირები, რომელთაც შეზღუდული აქვთ „თავისუფლების ქარტიით“ გათვალისწინებული თანამდებობების დაკავების უფლება, „თავისუფლების ქარტიის“ მიღებამდეც (2015 წლის 31 მაისამდე) იკავებდნენ მნიშვნელოვან თანამდებობებს და იღებდნენ გადაწყვეტილებებს;
- სადავო ნორმები პირთა განსაზღვრულ წრეს თანამდებობრივ შეზღუდვებს უწესებდა მხოლოდ იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ მათ საბჭოთა რეჟიმის პერიოდში მოუხდათ ცხოვრება, თუმცა მოცემულ პერიოდში არსებობდა სახელმწიფოს მმართველობის ერთპარტიული ფორმა და ინდივიდებს სხვა ალტერნატივა არ ჰქონდათ;

- უნდა მომხდარიყო თანამდებობის დაკავების მსურველთა შესწავლა სსრკ-ის სპეციალურ სამსახურებთან საიდუმლო თანამშრომლობასთან დაკავშირებით, შესაბამისად, არ უნდა ყოფილიყო თანამდებობის დაკავების თვალსაზრისით აბსოლუტური აკრძალვა;
- „თავისუფლების ქარტია“ არ ითვალისწინებდა ხანდაზმულობის ვადებს ანუ კანონით გათვალისწინებული თანამდებობის დაკავების შეზღუდვა ვრცელდებოდა უვადოდ;
- კომუნისტური პარტიის საქმიანობა არ არის აკრძალული დამოუკიდებელ საქართველოში;
- შეზღუდვები მისაღები შეიძლებოდა ყოფილიყო საბჭოთა კავშირის დაშლის თავდაპირველ ეტაპზე;
- სადავო ნორმები ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ პუნქტს (ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია), რადგან სსრკ-ის სპეციალურ სამსახურებთან გათანაბრებულები იყვნენ პირები, რომელთაც მხოლოდ რიგითი თანამდებობები ეკავათ. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი განამტკიცებდა ინდივიდის უფლებას, ესარგებლა ეთიკური, ღირსეული მოპყრობით, რის შესაძლებლობას არ იძლეოდნენ სადავო ნორმები;
- სადავო ნორმები ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს (ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა), რადგან აწესებდა განსხვავებულ მოპყრობას პოლიტიკური შეხედულებისა და დაკავებული თანამდებობის ნიშნის მიხედვით, ართმევდა პირებს შესაძლებლობას წარსულში განხორციელებული პოლიტიკური საქმიანობის გამო დაეკავებინათ კონკრეტული სახელმწიფო თანამდებობები და მოეხდინათ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზაცია სახელმწიფო მშენებლობასა და განვითარებაში; შესაბამისად აღნიშნული სადავო ნორმები იყო დისკრიმინაციული ხასიათის;
- სადავო ნორმები გაუმართლებელ ბარიერს ქმნიდნენ და არღვევდნენ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტს (საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს), რომლის თანახმადაც საქართველოს ყოველ მოქალაქეს შეუძლია დაიკავოს ნებისმიერ სახელმწიფო თანამდებობა, თუ ეს მოქალაქე აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

მოპასუხემ, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა, საკუთარი არგუმენტაცია ძირითადად დააყრდნო გარდამავალ პერიოდს, რომელშიც იმყოფება საქართველო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და აღნიშნა, რომ ყოფილ პარტიულ თანამდებობის პირებს ჰქონდათ ძლიერი ზეგავლენა სახელმწიფოს შიდა პოლიტიკაზე.

ასევე, მოპასუხემ აღნიშნა, რომ სადავო ნორმების მიზანი იყო ნეგატიური შედეგების პრევენცია და არა პასუხისმგებლობის დაკისრება, რადგან „თავისუფლების ქარტიით“ გათვალისწინებულ თანამდებობებზე დანიშნული პირები იღებენ უმაღლეს და განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებებს, რომელიც დაკავშირებულია ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან.

მოპასუხე მხარემ მიუთითა, რომ მოსარჩელე და მის მსგავს პირობებში მყოფი პირები ყოფილი სსრკ-ის პერიოდში იკავებდნენ სადავო ნორმით განსაზღვრულ თანამდებობებს, შესაბამისად, ისინი წარმოადგენდნენ კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმის შემოქმედს ან მხარდამჭერს. ასეთი პირების მოქმედებამ ან უმოქმედობამ საფუძველი ჩაუყარა რეჟიმს, რომელიც ყველასათვის მიუღებელია და იმსახურებს უარყოფას.

მოპასუხე მხარემ ასევე მიუთითა, რომ არქივის მონაცემთა ხელოვნურად შეცვლის ან განადგურების გამო, არ არსებობდა იმ პირთა დაზუსტებული სია, რომლებიც საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს სპეციალურ სამსახურებთან საიდუმლოდ თანამშრომლობდნენ. შესაბამისად, შეუძლებელი იყო გარკვევა თანამდებობის პირები დამატებით რა საქმიანობას ეწეოდნენ. ასევე, მოპასუხის განცხადებით „საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს მხედველობაშია მისაღები მთლიანად სისტემა და არა კონკრეტული პიროვნებები“.

მოპასუხე მხარემ აღნიშნა, რომ სადავო ნორმები არ ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს, რადგან დიფერენცირება ხდებოდა განსხვავებული სტატუსის მქონე პირებს შორის, შესაბამისად, თანასწორი პირები სახეზე არ იყვნენ. სადავო ნორმებით განსაზღვრული პირები წარმოადგენენ განსხვავებული ნიშნის მქონე სუბიექტებს, რომლებიც არსებითად უკავშირდებიან კომუნისტურ რეჟიმს და ყოფილი სსრკ-ის პერიოდში ეკავათ სახელმწიფო თანამდებობები. მოპასუხემ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს არასწორად ესმოდა კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შინაარსი, რადგან „საზოგადოებრივი აზრი ინდივიდთან დაკავშირებით არ არის დაცული მე-17 მუხლით“. მოპასუხემ აღნიშნა, რომ სადავო ნორმები არ ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლს, რადგან სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და უნდა პასუხობდეს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასევე აღნიშნულია, რომ მოპასუხე მხარემ საკუთარი არგუმენტაციის გასამყარებლად მოიშველია ყოფილი სოციალისტური რესპუბლიკების კანონმდებლობა, რომლებიც აწესებენ შეზღუდვებს გარკვეულ სახელმწიფო თანამდებობების დაკავებასთან მიმართებაში.

საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ:

1. განსახილველ საქმეში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა, რამდენად იყო **სადავო ნორმებით გათვალისწინებული**

თანამდებობის დაკავების განუსაზღვრელი ვადით აკრძალვა

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ პუნქტთან შესაბამისობაში.

2. „მოქმედი კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესრიგი წარსულში არსებული კომუნისტური სისტემისგან დიამეტრალურად განსხვავებულ ღირებულებებს ემყარება. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების პატივისცემა და თანასწორობა ქართული სახელმწიფოს და კონსტიტუციური მოწყობის ფუნდამენტურ ფასეულობებს წარმოადგენს“.
3. საქართველოს უახლოესი ისტორიის გათვალისწინებით სახელმწიფოს შეიძლება ჰქონდეს კანონიერი ინტერესი, რომ არ დაუმვას ტოტალიტარული რეჟიმის აღდგენა ქვეყანაში, მაგრამ ეს უნდა განხორციელდეს ისეთი სამართლებრივი მექანიზმების მეშვეობით, რომლებიც დამყარებულია კანონის უზენაესობაზე და ადამიანის უფლებებზე. იმ შემთხვევაში თუ ასეთი მექანიზმები არ პასუხობენ კონსტიტუციურ მოთხოვნებს, „სახელმწიფო თავად დაემსგავსება იმ რეჟიმს, რომლის აღმოფხვრისკენაც მიისწრაფვის“.
4. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტი განამტკიცებს ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობას, როგორც სოციალური იდენტობის არსებით ატრიბუტებს და ბუნებით უფლების კატეგორიას. „ადამიანის ღირსების პატივისცემა გულისხმობს ყოველი ადამიანის პიროვნულ აღიარებას, რომლის ჩამორთმევა და შეზღუდვა დაუშვებელია“. თუმცა საქართველოს კონსტიტუციით დაცული უფლების შემზღუდავი საკანონმდებლო რეგულირების არსებობა, ამავედროულად არ განაპირობებს აღნიშნული უფლების დარღვევას. „საკონსტიტუციო სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უფლების მზღუდავი რეგულირების შინაარსის, მიზნის და შეზღუდვის ინტენსივობის გათვალისწინებით ადგენს გასაჩივრებული ნორმის შესაბამისობას“ საქართველოს კონსტიტუციით დაცულ უფლებებთან მიმართებაში.
5. მოსარჩელის აზრით თანამდებობის დაკავების აკრძალვა წარმოადგენს პატივისა და ღირსების შელახვას, რადგან მოსარჩელე, ასეთ შემთხვევაში გათანაბრებულია იმ საბჭოთა საქართველოს სპეცსამსახურების წარმომადგენლებთან, რომლებმაც უარი განაცხადეს დამოუკიდებელი საქართველოს შესაბამის სამსახურებში მუშაობაზე.
6. შესაძლოა ყველა პირი, რომელსაც ეკავა ხელმძღვანელი თანამდებობები უშუალოდ არ მონაწილეობდნენ კომუნისტური პარტიის საქმიანობაში და პირიქით ებრძოდნენ კიდევ საბჭოთა რეჟიმს, რაც გამოჩნდა 1991-1992 წლებში, როდესაც ასეთ თანამდებობის პირებს მიკუთვნებული ადამიანები იბრძოდნენ საქართველოს ეროვნული ინტერესებისთვის და არა ვიწრო პარტიული იდეოლოგიის შესაბამისად. თუმცა „სადავო ნორმები ასეთ პირებსაც უზღუდავს სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებას“.
7. „სადავო ნორმები ადგენს ბლანკეტურ აკრძალვას კონკრეტული პირის საქმიანობის/უფლებამოსილების/კომპეტენციის ფარგლების გათვალისწინების გარეშე და პრაქტიკულად თანაბარ შედეგებს იწვევს როგორც იმ პირებისთვის, რომლებიც განსაზღვრავდნენ იმდროინდელ საშინაო/საგარეო იდეოლოგიურ

პოლიტიკას, ასევე იმ პირებისთვის, რომელთაც კანონმდებლობა და პრაქტიკა არ ანიჭებდა აღნიშნულის შეცვლის სამართლებრივ ბერკეტს, არ ჰქონდა ამ გადაწყვეტილებაზე ზემოქმედების შესაძლებლობა“.

8. აკრძალვა ასევე ვრცელდებოდა იმ პირებზე, რომელთაც ფორმალურად ეკავათ აღნიშნული თანამდებობები (დროის მცირე მონაკვეთის განმავლობაში) და ვერ მოასწრეს საქმიანობის განხორციელება. **ასევე, კანონმდებელი სადავო ნორმების მიხედვით არ ითვალისწინებს თითოეული პირის საქმიანობის და ფუნქციური დატვირთვის ინდივიდუალურ შესწავლას და ასეთი შესწავლის საფუძველზე თანამდებობის დაკავების უფლების შეზღუდვას.** სახელმწიფო თანამდებობის დაკავება ეზღუდება ყველა იმ პირს, ვისაც ჰქონდა პარტიული თანამდებობა დაკავებული.
9. დროის ხანგრძლივობასთან ერთად, აქტუალობას კარგავდა ის საფრთხეები და გამოწვევები, რაც წარმოდგენდა სადავო ნორმატიული აქტის მიღების მიზეზს. სადავო ნორმა მოსარჩელეს უკრძალავს დაიკავოს რიგი სახელმწიფო თანამდებობები იმის შეფასების გარეშე, თუ რამდენად რეალისტურია ეს საფრთხეები დღეს და რამდენად არის მოსარჩელე დღესაც იმავე საფრთხის მატარებელი სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის.
10. აუცილებელი იყო სადავო ნორმებით გათვალისწინებული შეზღუდვის თანმხლები სოციალური შედეგების გათვალისწინება. რადგან სადავო ნორმების მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოებრივი ჯგუფების ან ცალკეული ინდივიდების გარიყვა საზოგადოებიდან, შესაბამისად, აღნიშნული ნორმების იმპლემენტაცია გამოიწვევს სტიგმატიზაციის საფრთხეს.
11. უვადოდ სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების შეზღუდვა ატარებდა სადამსჯელო რეპრესიული ღონისძიების სახეს და არ იყო მიმართული ასეთი პირების რესოციალიზაციისკენ, ასევე, ასეთი ღონისძიებები ვერ იქნებოდა საფრთხის პრევენციის ეფექტური საშუალება. „საჯარო სამსახურის შესახებ“ შესახებ კანონი ითვალისწინებს ნასამართლობის მოხსნის/გაქარწყლების შემთხვევაში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის დანიშვნასაც კი საჯარო სამსახურში.
12. „ცალკეული პირების მიმართ, რომელთაც კომუნისტურ პარტიაში ეკავათ მაღალი პარტიული თანამდებობები, შესაძლებელია არსებობდეს მაღალი სახელმწიფო თანამდებობის დაკავების აკრძალვის ლეგიტიმური საჯარო ინტერესი. თუმცა, მხოლოდ კონკრეტული პირებიდან მომდინარე საფრთხეები ვერ გახდება სადავო ნორმებში მოცემული ბლანკეტური აკრძალვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი“.
13. სადავო ნორმების მიხედვით, სახელმწიფომ ინდივიდები გამოიყენა, როგორც კონკრეტული მიზნის მიღწევის საშუალებები და განიხილა ისინი როგორც სამართლის ობიექტები და არა როგორც სამართლის სუბიექტები. „სახელმწიფო ასეთ პირებს იყენებს ეროვნული უშიშროების დაცვისა და კომუნისტური ტოტალიტარული იდეოლოგიის დამღევის მიზნების მიღწევის საშუალებად.

ამგვარი მოპყრობა არ შეესაბამება კონსტიტუციით გარანტირებულ ღირსების უფლებას“.

14. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სადავო ნორმების მოქმედება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ პუნქტს.

ამავდროულად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა სადავო ნორმების შესაბამისობაზე საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ პუნქტთან („საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს“) და მე-14 მუხლთან (ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა) მიმართებაში.

საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის დასახელებული მუხლი იცავდა საქართველოს ყოველი მოქალაქის უფლებას დაეკავებინა როგორც არჩევითი, ასევე, დანიშნითი თანამდებობა, თუმცა ამავდროულად მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლება არ იყო აბსოლუტური ხასიათის და საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებდა უფლების საკანონმდებლო წესით შეზღუდვის შესაძლებლობას საზოგადოებაში არსებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. კანონმდებლობა შესაძლებელია ადგენდეს სპეციალურ მოთხოვნებს სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად. მაგრამ, სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების შეზღუდვისას კანონმდებელი ვალდებულია, დაიცვას გონივრული ბალანსი შეზღუდვის გამოყენებულ საშუალებებსა და ლეგიტიმურ მიზანს შორის.

საკონსტიტუციო სასამართლომ, გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის უპირველესი მოთხოვნაა, კანონმდებელმა ამა თუ იმ სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად კანონით განსაზღვროს გონივრული, სამართლიანი და არადისკრიმინაციული პირობები, იმავდროულად, კანონმდებლობა შესაძლებელია, ყოველი კონკრეტული თანამდებობის დასაკავებლად ადგენდეს განსხვავებულ პირობებს საქმიანობის სპეციფიკის, ფუნქციური დატვირთვის და მნიშვნელობის გათვალისწინებით, ვინაიდან განსაზღვრული ტიპის სახელმწიფო თანამდებობა, მისი შინაარსით და დანიშნულებით განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა სახელმწიფოს დამოუკიდებლობის, სტაბილურობის თუ უსაფრთხოებისთვის“. რადგან „თავისუფლების ქარტიის“ მიზანია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ხოლო ქვეყნის უსაფრთხოების დასაცავად კომუნისტური ტოტალიტარული იდეოლოგიის დაძლევა ღირებულ ლეგიტიმურ საჯარო მიზანს წარმოადგენს, შესაძლებელია, გარკვეულ შემთხვევაში, მომეტებული საჯარო ინტერესის

გამო, შეიზღუდოს საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით გარანტირებული სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლება და შექმნას ისეთი სამართლებრივი წესრიგი, რომლითაც შესაძლებელი იქნება ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ხელშემშლელი პოტენციური რისკების თავიდან აცილება.

ზემოთ დასახელებული გარემოებებიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმები არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მოთხოვნებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე იმსჯელა სადავო ნორმების შესაბამისობაზე საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან (ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა) მიმართებით.

კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს გამიჯნოს ერთმანეთისგან პოლიტიკური შეხედულებები და პოლიტიკური აქტიურობა. „პოლიტიკური შეხედულებები პირებს აქვთ იმის მიუხედავად, უკავიათ თუ არა რაიმე თანამდებობა პოლიტიკურ გაერთიანებაში ან/და საერთოდ წარმოადგენენ თუ არა აღნიშნული პოლიტიკური გაერთიანების წევრს ფორმალური თვალსაზრისით. პოლიტიკური შეხედულება პირს შეიძლება გააჩნდეს კონკრეტულ პოლიტიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანების გარეშეც. ხოლო პოლიტიკური აქტიურობა/საქმიანობა გულისხმობს საქმიანობას კონკრეტულ პოლიტიკურ გაერთიანებაში, ან/და კონკრეტული პოლიტიკური გაერთიანების იდეოლოგიის/მსოფლმხედველობის, მიზნების და ამოცანების განხორციელების მიმართულებით“.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ნორმები არ ითვალისწინებდა განსხვავებულ მოპყრობას პოლიტიკური შეხედულების გამო. სადავო ნორმებით გათვალისწინებული შეზღუდვა დაკავშირებული იყო „თავისუფლების ქარტიის“ მე-8 მუხლით განსაზღვრული თანამდებობების დაკავებასთან ანუ მოსარჩელის და მის მდგომარეობაში მყოფი პირების „კონკრეტულ და პრაქტიკულად წარმოებულ და შესაბამისი შედეგების მქონე პოლიტიკურ საქმიანობასთან კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ თანამდებობებზე“. **შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმები არ ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლს.**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ძალადაკარგულად სცნო „თავისუფლების ქარტიის“ მერვე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ)“ და „დ)“ ქვეპუნქტები. რადგან მიიჩნია, რომ აღნიშნული სადავო ნორმები ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტს.

შესაბამისად, თანამდებობრივი შეზღუდვა მოეხსნათ იმ პირებს, რომლებიც 1921 წლის 25 თებერვლიდან 1991 წლის 9 აპრილამდე იყვნენ ყოფილი სსრკ-ის და საქართველოს სსრ-ის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტების წევრები, რაიონული და საქალაქო კომიტეტების მდივნები ან ყოფილი სსრკ-ის და საქართველოს სსრ-ის ახალგაზრდული ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტების ბიუროების წევრები.

„თავისუფლების ქარტია“ ცვლილებებისა და ეფექტური იმპლემენტაციის ზღვარზე

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ განხილულმა გადაწყვეტილებამ შესაძლებელია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს თანამედროვე საქართველოზე.

სრულად ვიზიარებთ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების პოზიციას თანამდებობის დაკავების უვადოდ შეზღუდვასა და ინდივიდუალური შეფასებისა და საქმიანობის ფუნქციური დატვირთვის შესწავლის გარეშე, ნებისმიერი პირის მიმართ (რომელიც აკმაყოფილებს „თავისუფლების ქარტიის“ მე-9 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს), „თავისუფლების ქარტიით“ გათვალისწინებული თანამდებობრივი შეზღუდვების დაწესებასთან დაკავშირებით. შეიძლება პარალელი გავავლოთ პოლონეთთან, სადაც ლუსტრაციის კანონის მიღების შემდეგ საბჭოთა სპეციალურ სამსახურებთან თანამშრომლობაში მხილებული პირებს ეკრძალებოდათ 10 წლის განმავლობაში სახელმწიფო სამსახურში დასაქმება.²

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთისგან გავმიჯნოთ კომუნისტური პარტიის სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობა და სპეციალურ სამსახურებთან თანამშრომლობა. ყველა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, თუ სოციალისტური ბანაკის ქვეყანა უფრო მკაცრ რეგულაციებს ითვალისწინებს მათ მიმართ ვინც თანამშრომლობდა უშიშროების სამსახურებთან. რამდენიმე ქვეყანაში (მაგალითად, ჩეხეთი, პოლონეთი და სხვა) ასეთი ადამიანების სია, არის საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.³

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ არ ჩათვალა აღნიშნული ნორმები საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლსა და მე-14 მუხლთან შეუსაბამოდ. სრულიად ვიზიარებთ სასამართლოს პოზიციას, რომ ქარტიით გათვალისწინებული თანამდებობრივი შეზღუდვა არ იწვევს დისკრიმინაციის პოლიტიკური შეხედულების ნიშნის მიხედვით, არამედ განპირობებულია წარსულში ტატალიტარული რეჟიმის სამსახურში განხორციელებული მოქმედებით ან უმოქმედობით და დღევანდელ ეპოქაში, ქარტიით გათვალისწინებული

² *Ibid*, გვ. 9.

³ *Ibid*, გვ. 7.

თანამდებობების დაკავების უფლება ვერ გახდება ქვეყნის უსაფრთხოების დაცვაზე უფრო მნიშვნელოვანი ღირებულება.

„თავისუფლების ქარტია“, მე-9 მუხლით გათვალისწინებული პირებისთვის, ითვალისწინებს სხვადასხვა სახელმწიფო თანამდებობებზე დანიშვნის ან არჩევის აკრძალვას, კერძოდ, თანამდებობრივი შეზღუდვები შეეხება შემდეგ თანამდებობებს და პირებს:

„ა) საქართველოს მთავრობის წევრებს, მინისტრების მოადგილეებსა და სამინისტროების სისტემაში არსებული დეპარტამენტების თავმჯდომარეებს, ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს წევრებს, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების წევრებს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურ აუდიტორსა და მის მოადგილეებს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული არქივის გენერალურ დირექტორსა და მის მოადგილეებს, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსსა და მის მოადგილეებს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსსა და მის მოადგილეებს, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსს, მის მოადგილეებსა და დეპარტამენტების უფროსებს, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩებს, დესპანებს, კონსულებს, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტებს, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში – სახელმწიფო რწმუნებულებს – გუბერნატორებს, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების წევრებს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის– საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) აღმასრულებელ დირექტორსა და მის მოადგილეებს;

ბ) საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და მათი ტერიტორიული ორგანოების ოპერატიული ქვედანაყოფების მოსამსახურეებს;

გ) საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების მოსამართლეებს;

დ) საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რექტორებს, პრორექტორებს, დეკანებს და კათედრების გამგეებს; საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორს, მის მოადგილეებს და სამეურვეო საბჭოს წევრებს“.

როგორც ვხედავთ ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია. კანონმდებელი ცდილობს მოიცვას ყველა ის პოლიტიკური და საგანმანათლებლო სფერო, რომელიც შეიძლება ერთი მხრივ შეეხოს სახელმწიფო უსაფრთხოებას და მეორე მხრივ გავლენა მოახდინოს მომავალი თაობის აღზრდაზე. **აღნიშნული ჩამონათვალი ნაწილობრივ გამსჭვალულია ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების გამოცდილებით, თუმცა ამავდროულად შესაძლებელია, აღნიშნული ჩამონათვალის გაზრდა, რადგან მაინც ბევრი სფერო რჩება რეგულირების მიღება, მაგალითად, პროკურატურა, საჯარო**

სკოლები და სხვა სფეროები. პოლონეთში ლუსტრაციის კანონის მოქმედება პროკურორებზეც გავრცელდა.⁴

ამავდროულად, ქარტია ითვალისწინებს ინფორმაციის კონფიდენციალურობას იმ პირებისთვის ვინც გაამხელენ, რომ საიდუმლოდ თანამშრომლობდნენ ან ფარული კავშირი ჰქონდათ ყოფილი სსრკ-ს სპეციალურ სამსახურებთან. დაახლოებით ანალოგიურ მიდგომას ითვალისწინებს ლიტვა, სადაც ლუსტრაციის კანონის თანახმად, სპეციალური სამსახურების თანამშრომლების, რომლებიც გაამხელენ სპეციალურ სამსახურთან კავშირს, შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურად იქნება დაცული სახელმწიფოს მიერ, თუმცა თანამდებობების დაკავების უფლების შეზღუდვა მათზეც ვრცელდება.⁵

საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ განხილული გადაწყვეტილება ამავდროულად შეიცავს მნიშვნელოვან რეკომენდაციებს, რომელიც სასურველი იქნება, რომ გაიზიაროს კანონმდებელმა, კერძოდ, მნიშვნელოვანია ცვლილების შეტანა „თავისუფლების ქარტიაში“ და ამ კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული პირების საქმიანობის ინდივიდუალური შესწავლა, მათ შორის, მათი ფუნქციური დატვირთვის გაანალიზება და მხოლოდ ინდივიდუალური შესწავლის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება. საკონსტიტუციო სასამართლომ მართალია ძალადაკარგულად ცნო „თავისუფლების ქარტიის“ მე-9 მუხლის „გ“ და „დ“ ქვე-პუნქტები, მაგრამ ძალადაკარგულად ცნობის საფუძველი იყო ის ბლანკეტური აკრძალვა, რომელიც ინდივიდუალური შესწავლის გარეშე ართმევს უფლებას ყველა პირს ვინც იყო 1921 წლის 25 თებერვლიდან 1991 წლის 9 აპრილამდე ყოფილი სსრკ-ის და საქართველოს სსრ-ის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტების წევრი, რაიონული და საქალაქო კომიტეტების მდივანი ან ყოფილი სსრკ-ის და საქართველოს სსრ-ის ახალგაზრდული ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი დაიკავონ ამავე კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობები. ამასთან, ასეთი შეზღუდვა ვრცელდება უვადოდ. შესაბამისად, თუ კანონმდებელი შემოიღებს ასეთი პირების საქმიანობის ინდივიდუალურ შესწავლას და თანამდებობაზე დანიშვნას გახდის ვადიანს (მაგალითად, 10 წლის ვადით, როგორც ეს არის პოლონეთში), შესაძლებელი იქნება, რომ კანონმდებელმა მოახდინოს უკვე ძალადაკარგული ნორმების მოდიფიცირებული სახით იმპლემენტაცია „თავისუფლების ქარტიაში“. საბჭოთა სპეციალური სამსახურების ყოფილი თანამშრომლების მიმართ, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ კანონის მე-9 მუხლით დადგენილ წესებს, შეიძლება დავტოვოთ იგივე ბლანკეტური აკრძალვა (რადგან მოსარჩელე საკონსტიტუციო სარჩელში აღნიშნავდა, რომ ის იყო თავისი მდგომარეობით გათანაბრებული სპეციალური სამსახურების თანამშრომლებთან, რაც იყო მისთვის ღირსების შემლახველი ანუ ცდილობდა, რომ დისტანცირება მოეხდინა მათგან), თუმცა სხვა თანამდებობის პირების მიმართ გავითვალისწინოთ ზემოთ დასახელებული ინდივიდუალური შესწავლის და ხანდაზმულობის საკითხები.

⁴ *Ibid*, გვ. 9.

⁵ *Ibid*, გვ. 14.

ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ „თავისუფლების ქარტია“ სხვა მრავალი საკითხების მარეგულირებელ ნორმებსაც შეიცავს, მაგალითად, ქარტია მიზნად ისახავს ფაშისტური და საბჭოთა სიმბოლიკის წინააღმდეგ ბრძოლასაც. ეს უკანასკნელი საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ბოლო პერიოდში გააქტიურდა საბჭოთა მონუმენტების დაბრუნების მცდელობები (მაგალითად, სტალინის ძეგლების სახით), ასევე, ჯერ კიდევ მრავალი დასახლებაა საქართველოში, სადაც შენარჩუნებული აქვთ ქუჩებს ტოტალიტარული სახელწოდებები (მაგალითად, სტალინის ქუჩა).

ასევე, აღსანიშნავია, რომ ქარტიის მე-11 მუხლი ითვალისწინებს იმ პირის შესახებ ინფორმაციის ღიაობას, რომელიც მიმართავს საარჩევნო ადმინისტრაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ. თუ კომისია დაადგენს, რომ კანდიდატი არის პირი, რომელიც თანამშრომლობდა ყოფილი სსრკ-ს სპეციალურ სამსახურებთან, მიმართავს საარჩევნო ადმინისტრაციას. თუ საარჩევნო ადმინისტრაცია მაინც დაარეგისტრირებს ასეთ პირს კანდიდატად და ასეთი პირი არ მოხსნის კანდიდატურას, კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ გამოაქვეყნოს ამ პირის შესახებ არსებული საიდუმლო ინფორმაცია. ყოფილი სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნების (მაგალითად, უნგრეთის) ლუსტრაციის კანონები ვრცელდება, ასევე იმ პირებზე ვისაც სურთ არჩევითი თანამდებობის დაკავება.⁶

თავისუფლების ქარტიით განსაზღვრული კომისია, გულისხმობს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში შექმნილ კომისიას, რომელიც კომპლექტდება მათ შორის საქართველოს პარლამენტის ფრაქციების მიერ წარდგენილი წევრებისგან. ფაქტობრივად, თავისუფლების ქარტია ამ კანონის მიზნების განხორციელებას სწორედ კომისიის მეშვეობით ახორციელებს.

დასახელებული კომისიის აქტიური მუშაობის გარეშე შეუძლებელია, როგორც ქარტიის ეფექტური იმპლემენტაცია, ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახული რეკომენდაციების პრაქტიკაში განხორციელება.

⁶ *Ibid*, გვ. 8.